

თვალსაზრისი

ირმა რატიანი

„კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ლიტერატურული რეფლექსიები ქართულ მწერლობაში

თეორიული ანალიზი

თანამედროვე ქართული მწერლობა „კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ცნებათა საინტერესო ინტერპრეტაციებს გვთავაზობს, თუმცა ფიქრი ამ პრობლემაზე გაცილებით ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან, როდესაც ქართულ მწერლობასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში თვალნათლივ აღინიშნა კავკასიის თემის გააქტიურება. მსგავსი აქტუალიზება გამოწვეული იყო საქართველოს ისტორიული გადანაცვლებით ახალი კოლონიალიზმის ეპოქაში, რომელსაც სხვაგვარად „რუსული კოლონიალიზმის ეპოქა“ შეიძლება ეწოდოს.

როგორც ცნობილია, რუსული კოლონიალიზმის დასაწყისი საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისით თარიღდება, თუმცა სვლა ამ პროცესისაკენ უფრო ადრეული პერიოდიდან აღინიშნება, გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის დღიდან და, გარკვეულწილად, მანამდეც. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან მეფის რუსეთი უკვე კომფორტულად ირგებს კოლონიზატორის სტატუსს და თანამიმდევრულად შეუდგება კოლონისტის სტრატეგიული გეგმის განხორციელებას. რუსული კოლონიალიზმის პოლიტიკური სტრატეგია იმთავითვე განისაზღვრა საქართველოსა და მთლიანად კავკასიის ოკუპირებული რეგიონების გათიშვისა და დაშლის პრინციპით, ხოლო სოციალურმა სტრუქტურამ რუსეთის იმპერიის სოციალური სისტემის მიკრომოდელის სახე მიიღო. როგორი იყო ქართული საზოგადოების დამოკიდებულება ახალი კოლონიალიზმის სტანდარტთან და რა ფორმით გამოვლინდა ის ქართულ მწერლობაში?

საქართველოსათვის, მისი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, უცხო არ იყო „დაპყრობილის“ სტატუსი – სხვადასხვა დროს საქართველო ოკუპირებული იყო ირანის, არაბეთის, თურქეთის, მონღოლეთის მიერ, ქართული საზოგადოების რეაქციაც კოლონიალიზმზე, ტრადიციულად, სარ-

წმუნოების შენარჩუნების ნიშნით იყო აღბეჭდილი და ანტიკოლონისტური მოძრაობა, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური ღირებულებების დაცვას გულისხმობდა. რუსული კოლონიალიზმის ეპოქაში რადიკალურად შეიცვალა დამპყრობლის სტატუსი, დამპყრობელი რუსეთი ერთმორწმუნე მტერ-მოყვარის პოლიტიკით მოქმედებდა: ერთი მხრივ, სარგებლობდა მართლმადიდებელი ქვეყნის პრივილეგიით, მეორე მხრივ კი, აპირისპირებდა საქართველოს კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან ხალხებთან და აცლიდა საჭირო პოლიტიკურ თვითმყოფობას. ქართული საზოგადოების თავდაპირველი რეაქცია ციფრულ კოლონიალიზმზე ორმაგი სტანდარტით წარიმართა, რაც ნათლად აისახა რომანტიზმის ეპოქის ქართული საზოგადოების ცხოვრებასა და მწერლობაში, პირველ ყოვლისა, სწორედ „კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ცნებების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით.

როდესაც ვამბობთ „ორმაგ სტანდარტს“, ვგულისხმობთ იმ გაორებასა თუ გაუგებრობას, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისიდანვე არსებობს ქართულ საზოგადოებასა და მწერლობაში ერთმორწმუნე კოლონისტის მიმართ: რწმენის დაცვის აუცილებლობას მოკლებული ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი იმთავითვე კარგავს ანტიკოლონისტური ბრძოლის მოტივაციას და, სრულიად დეზორიენტირებული, გადაინაცვლებს ამბივალენტური მოლოდინის პოზიციაზე; მეორე ნაწილი ცდილობს, დაარწმუნოს თავი „ახალი ეპოქის“ კეთილგონივრულობასა და ძლიერი ერთმორწმუნე ქვეყნის (რომელსაც ვითომდა ძალუძს საქართველოს ჩაბრუნება ევროპული საზოგადოების წიაღში) მფარველობის საჭიროებაში და რუსეთის ტახტის სამსახურს საკუთარ პატრიოტულ მოვალეობად მიიჩნევს – ხშირად თუნდაც უმძიმესი ეჭვებისა და მერყეობის მიღმა; არის კიდევ მცირეოდენი ჯგუფი ადამიანებისა, რომელიც ცხადად გრძნობს სარწმუნოებრივი ერთიანობის იდეით შენდებული კეთილდღეობისა და ეროვნული თვითმყოფობის იდეის დაპირისპირების ტრაგიზმს და ცდილობს საკუთარი ჰეროიზმის ფასად გამოალგოდოს გაბრუებული საზოგადოება. შვილი მამას არ ეთანხმება, ძმა – ძმას, მეგობარი – მეგობარს: საზოგადოება დისიმილირებულია, ხოლო მწერლობა ცხადად აირეკლავს ამ საბედისწერო დისიმილაციის ყოველ დეტალს: ყველა კითხვა თუ ეჭვი, მერყეობა თუ შიში, გაუბედაობა თუ სიმამაცე საზოგადოებრივი აზროვნების შრეებში ილექება, აკუმულირდება და ინაცვლებს მწერლობაში. „კავკასიის“ ერთიანობის იდეა ისტორიულ წარსულს ბარდება; რუსი გენერლების მუნდირებში გამოწყობილი პოეტები, კოლონიალისტების დაკვეთით, კავკასიური მოძრაობის ლიდერებს ებრძვიან, ვალმოხდილნი კი სევდიანად დასტირიან, აწ უკვე ნანგრევებად ქცეულ, საქართველოს ისტორიულ ძლიერებას; ისჯება ყველა, ვინც კი ფარულად თანაუგრძნობს „კავკასიის“ ერთიანობის იდეას, ასე, მაგალითად ალექსანდრე ორბელიანი, 1832 წლის შეთქმულებამდე უმკაცრეს გაფრთხილებას იღებს შამილთან მიწერილი მხარდამჭერი წერილის გამო და იმპერიისათვის „არასასურველთა“ ბანაკში ინაცვლებს [წერეთელი 1989:101; ლაღანიძე 2010:87]. კავკასიური და-

პირისპირება და კავკასიელი ხალხების გათიშვა, მართლმადიდებლობის ნიღბით, რუსეთის პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს გეგმად იქცევა; შესაბამისად, ცნება „კავკასიელი“ ცალკეულ აღნიშვნებად დიფერენცირდება – ქართველი, სომეხი, ჩეჩენი, დაღესტნელი და ა.შ., და თითოეული მათგანისათვის ნები-სმიერი „სხვა“ მტრის სიმბოლიკის მატარებელი უფროა, ვიდრე მოყვარისა. გავიხსენოთ თუნდაც შამილის მიერ ჭავჭავაძეთა ოჯახის ქალბატონების გატაცებისა და ტყვეობის ისტორია [დრანსე 2002]. ამ საერთო ქაოსსა და უთანხმოებაში განსაკუთრებული დატვირთვით იკითხება ნიკოლოზ ბარათაშვილის ფრაზა: „სახელმწიფოსა სჯულის ერთობა არარას არგებს, ოდეს თვისება ერთა მის შორის სხვადასხვაობდეს“ [ბარათაშვილი 1968:145]. შეიძლება ითქვას, ბარათაშვილია ის ერთადერთი ქართველი შემოქმედი მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში, რომელიც, არა მარტო მიაკვლევს ქართველთა მთავარ პრობლემას, არამედ – საკუთარ პოზიციასაც გააცხადებს. პოეტის ფრაზა ცხადყოფს მის რწმენას კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ტრადიციული ხერხის უვარგისობასა და ახალი გზის ძიების საჭიროებაში: ეს არის გზა ეროვნული ბრძოლისა, რომელმაც უნდა იხსნას ქართული იდენტობა და სახელმწიფოებრიობა. მაგრამ ბარათაშვილის მოწოდებას, მიუხედავად არაერთი მხარდამჭერისა და თანამოაზრისა, და, რასაკვირველია, წინამორბედებისაც, ახდენა მოგვიანებით ეწერა.

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან მეტი სიმძაფრით ვლინდება ახალი კოლონისტების პოლიტიკური კურსისა და სოციალური სტრატეგიის ჭეშმარიტი მიზანი: ვორონცოვის ლიბერალური (თუმცა არსობრივად იმპერიალისტური) მმართველობა რადიკალურმა იმპერიალისტურმა პოლიტიკამ ჩაანაცვლა და ცხადად გამოიკვეთა რუსეთის გეგმა – საქართველოს გარდაქმნა სოციალ-პოლიტიკური და კულტურული მოვლენების პერიფერიულ ზონად, რაც შეესაბამებოდა „კოლონიის“ ცნების კლასიკურ ინტერპრეტაციას. აქედან გამომდინარე, სახე იცვალა ქართული საზოგადოების რეაქციამაც რუსულ კოლონიალიზმზე და რომანტიზმის ხანის ამბივალენტური სტატუსი რადიკალურმა დაპირისპირებამ შეცვალა: ანტიკოლონიური მოძრაობის ისტორიულად გამომუშავებული სარწმუნოებრივი სტრატეგია ეროვნულმა სტრატეგიამ ჩაანაცვლა. შემთხვევით არ ჩაეჭიდება ილია ჭავჭავაძე ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიგურას – ის ბარათაშვილისტია რუსეთის კოლონიურ პოლიტიკასთან მიმართებაში, და არა მხოლოდ ის: მე-19 საუკუნის რეალისტური მწერლობა ეროვნული იდენტობის დაცვის ნიშნითაა აღბეჭდილი და ეს განწყობილება საფუძვლად უდევს ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ალ. ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველას და სხვა რეალისტი მწერლების მხატვრულ შემოქმედებას. ეროვნულობის იდეა პირდაპირ კავშირშია „კავკასიელის“ ცნების ისტორიული ღირებულების აღორძინებასთან: თუკი საქართველო გამოემიჯნება კავკასიის დარჩენილ რეგიონებს, ის აღმოჩნდება იზოლაციაში, რუსულ დათვთან პირისპირ. ამ ფონზე, აკაკი წერეთლის ლექსი „შამილის სიზმარი“ უღერს, როგორც მიმართვა და პოზიცია: შემ-

თხვევითი არ არის, რომ აკაკი სწორედ ამ ლექსს გადაუგდებს ხელთათმანით გენერალსა და პოეტს, გრიგოლ ორბელიანს, რითაც ხაზს გაუსვამს „შვილთა“ ბანაკის „მამებისაგან“ განსხვავებულ პოზიციას კავკასიის საკითხთან მიმართებაში. აკაკის ფრაზა – „და თავს ნუ მივცემთ მონად გიაურს!“ [წერეთელი 2010: 16] სიმბტომურია: მალევე, ალ. ყაზბეგი რადიკალურად შეცვლის „კავკასიელისა“ და „კავკასიის“ ცნებების ლიტერატურულ ინტერპრეტაციას და ხაზგასმულად ანტირუსულ სიბრტყეზე გადაანაცვლებს: მის ტექსტებში ცხადად გამოიკვეთება ტრაგიკული შიში იმ ნაციისადმი, რომელიც „უცხო“ ენით, ზნეობითა და წეს-ჩვეულებებით იჭრება საქართველოსა და, ზოგადად, კავკასიის ტერიტორიაზე; რუსულ მიმართველობასთან დაკავშირებული პერსონაჟები იმთავითვე უარყოფით კონტექსტშია გააზრებული, ან, პირიქით, თუკი პერსონაჟი უარყოფითია, ის აუცილებლად არის დაკავშირებული რუსულ კონტექსტთან, სამაგიეროდ, კავკასიის მთიანი რეგიონის ხალხები უპირატესად ასოცირდება გმირობასთან, თავდადებასთან, კეთილშობილებასთან, სიყვარულთან. ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ყაზბეგი-ავტორი არასოდეს გამოხატავს თავის, ავტორისეულ, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ პოზიციას, როდესაც ქართველებისა და კავკასიის მთიანეთის სხვა ხალხების ურთიერთობებს აღწერს (და კარგადაა ცნობილი რეალისტი მწერლების მეთოდოლოგიური მიდრეკილება პოზიციის ფიქსირებისაკენ), ნაცვლად ამისა, მწერლის პოზიცია ურყევად ეროვნულია ყოველთვის, როდესაც საქმე ეხება ქართველებსა და რუსების ან რუსოფილების ურთერთობას.

იმავე ტენდენციას შეიძლება დავაკვირდეთ აკაკი წერეთლის პოემაში „გამზრდელი“, რომელშიც აფხაზი დადებითი პერსონაჟიც არის და უარყოფითიც, ხოლო მათი აღმზრდელი უაბარდოელია. ავტორი, რომელიც ეთიკური და ზნეობრივი ნორმების მკაცრ რეგულატორად გვევლინება ტექსტში, არც ერთხელ არ ახდენს ეთნიკური სხვაობების აქცენტირებას. ნურც ვაჟა-ფშაველას მუცალსა და ჯოყოლას და მათდამი ქართველ მთიელთა დამოკიდებულებას დავივიწყებთ. ეთიკური და საზოგადოებრივი pro et contra, რომელსაც ვაჟა-ფშაველა საფუძვლად უდებს თავისი პერსონაჟების ღირებულებათა შკალას, სცდება ვიწრო სეპარატიზმის სტანდარტს და ჰუმანიზმის უღრმესი შრეებისაკენ მიემართება.

საინტერესოა, რომ კავკასიის თემის ჩვენ მიერ მიმოხილული აქცენტების სრულ პარადიგმას მხატვრული ვირტუოზულობით წარმოგვიდგენს იაკობ გოგებაშვილი ტექსტში „იავნანამ რა ჰქმნა?“, როდესაც ქართული ოჯახის ტრაგიკული ხვედრის ფონზე გამწვავებული ეთნიკური დაპირისპირება ქართველებსა და ლეკებს შორის მოთხრობის ბოლოს საყოველთაო ჰარმონიასა და იდილიაში გარდაიხრდება. ამრიგად, მე-19 საუკუნის დასაწყისში დასმული კითხვა, რატომ უნდა ვიდგეთ ერთად, თუკი სარწმუნოებრივი ერთობა არა გვაქვს, მე-19 საუკუნის ბოლოს ტრანსფორმირდება კითხვად – რა გვაქვს გასაყოფი, როდესაც საერთო პოლიტიკური მტერი გვყავს?

მით უფრო პარადოქსულია იმის აღნიშვნა, რომ ამდენად მომწიფებული და ინტელექტუალურად შემზადებული „კავკასიის საკითხი“ კარდინალურად იცვლის პერსპექტივას მე-20 საუკუნის ქართულ მწერლობაში, როდესაც საბჭოთა ტოტალიტარიზმის ისტორიული და პოლიტიკური კატაკლიზმების გამო იცვლება თავად დამოკიდებულება პრობლემისადმი და რამდენიმე ეტაპადაც კი დაიყოფა: რევოლუციურ და პოსტრევოლუციურ, იდეოლოგიური დიქტატის, სამამულო ომის, ლიბერალიზაციისა და პოსტ-ლიბერალიზაციის ეტაპებად.

პრობლემის რევოლუციური და პოსტრევოლუციური წაკითხვის საუკეთესო მაგალითია მე-20 საუკუნის ქართველი კლასიკოსის მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება, თუმცა განსაკუთრებულ ყურადღებას მანიც რომანი „ჯაყოს ხიზნები“ იმსახურებს. ანტიგმირი – ჯაყო ჯივაშვილი მკვეთრად დროის სიმბოლიკის მატარებელი პერსონაჟია, ოსური ქუდით, ოსური ჩოხით, თათრული წინდებით, დაბახანური ჩუსტებით, ქართული ხმლითა და რუსული თოფით. „ჯაყო დროის მიერ ხელოვნურად შექმნილი შარიკოვია, რომელიც ძალღური ერთგულებით ემსახურება თავის მშობელს“ [რატიანი 2010: 143]. მასში ერთიანადაა ახელილი და გადახეული ის, რასაც ჯერ კიდევ დამოუკიდებელი ერთეულების იერსახე აქვს შენარჩუნებული მე-19 საუკუნეში: თუკი მე-19 საუკუნის ფუნდამენტური კითხვა კავკასიურ ხალხებთან მიმართებაში მათი დისჭარმონიული ან, პირიქით, ჭარმონიული არსებობის ირგვლივ ტრიალებს, საბჭოეთის პირობებში ის უოფნარუოფნის პრობლემად გარდაიქმნება: „ახალი დროების“ ნაშიერი ჯაყო ე.წ. „საბჭოური ინტეგრაციის“ შედეგია – ტიპური „უგვარტომო“, ვერავინ გაიგებს, სად იწუება ქართველი და სად მთავრდება დაღესტნელი, სად იწყება ოსი და სად მთავრდება რუსი. ვის სჭირდება ამგვარი მახინჯი ინტეგრაცია, რომელიც განადგურების ტოლფასია? – რასაკვირველია, კოლონიალისტს, რუსეთის იმპერიას, რომელიც ახლა საბჭოეთის გაუგებარი სიმბიოზის ნიღაბსაა ამოფარებული.

ამ ფონზე ერთგვარ ნოსტალგიურ მნიშვნელობასაც კი იძენს კონსტანტინე გამსახურდიასა და ლეო ქიაჩელის შემოქმედებაში გამოკვეთილი პოზიცია კავკასიურ პრობლემასთან დამოკიდებულებაში: მიუხედავად იმისა, რომ ტექსტები ხშირად საბჭოთა იდეოლოგიებისათვის თვალისასახვევი სოციალური თემებითაა გადაფარული, სიღრმეში ქართველთათვის მტკივნეული კავკასიელი ხალხების იდენტობის პატივისცემისა და ურთიერთდაფასების განწყობილება იკითხება, თუმცა ეს მხოლოდ გამონაკლისია. „ჩემი მისამართი არც სახლია და არც ქუჩა, ჩემი მისამართია საბჭოთა კავშირი!“ – აი, სლოგანი, რომელიც სპობს განსხვავებებს. განა ვინმეს ეყოფა გამბედაობა, ისაუბროს კავკასიური ეთნოსის დიფერენციაციაზე, როდესაც საბჭოეთის დიქტატორული რეჟიმის სათავეში ეროვნებით ქართველი დგას? ინტეგრაციის პოლიტიკური საჭიროება განსაკუთრებულად ძლიერდება სამამულო ომის პერიოდში, როდესაც Homo sovieticus-ის მენტალური მოდე-

ლი მისი ისტორიული ძლიერების ფაზაში შედის: სამამულო ომი დიქტატურის წისკვილზე ასხამს წყალს, მოწოდებები საერთო-საზოგადოებრივი საფრთხისა და კონსოლიდაციისაკენ კიდევ მეტად აბათილებს იდენტობათა დადგენის აუცილებლობას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქმის ვითარება არც პოსტსტალინურ, ე.წ. „დათბობის“ პერიოდში იცვლება – ცნებამ „ჩვენ“ დიდი ხანია ჩაანაცვლა ცნება „მე“ და ეს ჩაანაცვლება გასაბჭოებული რუსეთის კოლონიალისტური პოლიტიკის უნიშვნელოვანესი მიღწევაა, თუმცა 60-იანი წლების „ჟინულის დნობა“ გარკვეულწილად რეფლექსირდა ე.წ. „უძრაობის ხანაში“: 70-იანი წლების მიწურულს ჯერ გაუბედავად, შემდეგ კი მკვეთრად გაიჟღერებს ფრაზა: „კავკასიური ნაციონალიზმის სახე“. ერთ-ერთ პირველ მარკერად დავასახელებდი გიორგი დანელიას ფილმს „მომინო“, სადაც ტრაგიკომიკური შუქ-ჩრდილების მიღმა ნაციონალური იდენტობის პრობლემა შეიძლება წავიკითხოთ, ხოლო ქართველი პილოტისა და სომეხი მძღოლის ურთიერთობა ვეებერთელა, უცხო რუსულ გარემოში ჩაკარგული ორი კავკასიელის კონსოლიდაციის ნიშნების მატარებელია (თუმცა რეჟისორს იქვე უხდება ხარკის გადახდა საბჭოთა კონიუნქტურისათვის მეორე ქართველის, როგორც უარყოფითი პერსონაჟის გამოვლენის მეთოდით). მიუხედავად იმისა, რომ დანელიას ფილმში პრობლემის პოზიტიური ინტერპრეტაცია უფროა ჩადებული, ვიდრე ნეგატიური, ერთი რამ ცხადია: ბარათაშვილისეული „თვისება ერთა“ დეკლარირებულია, იმპერიას საძირკველი შეერყა და ახალი პროცესების მოლოდინში იმყოფება. 80-იანი წლების დაძაბული პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო გაამძაფრებს ეთნოსის ტოპონიმიკას, საბჭოთა დიქტატურა თავის დასასრულს, ხოლო ნაციონალური ერთეულები ხელახლა აღიარების ფაზას მიუახლოვდება, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ნეგატიური ინტერპრეტაციით – „საბჭოთა მთლიანობის“ პოლიტიკა იმპერიის ნანგრევებში განისვენებს, მაგრამ ადგილს უთმობს არანაკლებ საშიშ ღია ეთნიკურ კონფრონტაციებს კავკასიის რეგიონში. 90-იანი წლებიდან, საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად, „კავკასიისა“ და „კავკასიელის“ ცნებები იქცა სრულიად ახალი ტიპის დისკურსის წარმოქმნის საბაზად, რომელმაც განსაზღვრა კიდევაც მე-20 საუკუნის მიწურულისა და 21-ე საუკუნის დასაწყისის ქართული (და არა მარტო ქართული) ლიტერატურის ინტერპრეტაციული სტანდარტი ამ პრობლემასთან მიმართებაში. თუმცა ეს უკვე სხვა ნარკვევის თემაა.

დამოწმებანი

ბარათაშვილი 1968: ნიკოლოზ ბარათაშვილი. თხზულებანი. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1968.

დრანსე 2002: ანა დრანსე. შამილის ტყვე ქალები. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1978.

რატიანი 2010: ირმა რატიანი. ტექსტი და ქრონოტოპი. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამ-ბა, 2010.

ღაღანიძე 2010: მერაბ ღაღანიძე. ძველი და ახალი საქართველოს მიჯნაზე, თბ., „მემკვიდრეობა“, 2010.

წერეთელი 2010: აკაკი წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ. I. თბ., ლიტერატურის ინსტიტუტის გამ-ბა, 2010;

წერეთელი 1989: აკაკი წერეთელი. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. III. თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1989.